ვამტკიცებ

შპს. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“
დირექტორი: /თამარ მაისურაძე/

ბრძანება: № 69 04.10.2021 წ.

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

სასკოლო სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციის

დებულება

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ (შემდგომში -სკოლა), მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობისა და თანამედროვე გლობალური პრობლემური საკითხების გადაჭრისთვის, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის გაზრდის მიზნით, ყოველი წლის აპრილში ატარებს სასკოლო სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას.(შემდგომში-კონფერენცია).

მუხლი 1. კონფერენციის მიზანი

კონფერენციის მიზანია:

- სკოლის მოსწავლეებში განათლების ხელშეწყობა;
- მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობა;
- მიღებული ცოდნის გამყარების, დამოუკიდებელი მუშაობისა და ინფორმაციის სინთეზის უნარების განვითარება;
- მოსწავლეების ინტერესის გაძლიერება მეცნიერების სხვადასხვა დარგის დასაუფლებლად;
- სამეცნიერო, საინჟინრო მოდელებისა და ნიმუშების დამზადების ჩვევების განვითარება;
- მოსწავლეებში შემოქმედებითობის, კვლევის, საჯარო გამოსვლისა და ნამუშევრის წარდგენის უნარების განვითარება;

მუხლი 2. კონფერენციის მართვა და ძირითადი წესები

2.1. კონფერენცია ტარდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
2.2. კონფერენციის ჩატარების მიზნით სკოლის დირექტორი, შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს კონფერენციის საორგანიზაციო და შემფასებელ კომისიებს;
2.3. კონფერენციის გამართულად ჩატარებას უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომისია, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს მიღებული ნაშრომების შესაბამისობა ამ დებულებით განსაზღვრულ წესებთან და კრიტერიუმებთან თანხვედრა;
2.4. კონფერენციის შემფასებელი კომისია უზრუნველყოფს ნაშრომთა შეფასებას ამ დებულებისა და დანართით გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად;
2.5. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია VIII- XII კლასების მოსწავლეებს;(გამონაკლის შემთხვევაში VII კლასის მოსწავლეებსაც).

მუხლი 3. კონფერენციის ეტაპები და ვადები
3.1. კონფერენცია ტარდება 2 ეტაპად:
3.1.1კონფერენციის პირველი ეტაპი გულისხმობს ნაშრომის მიღებას და შეფასებას. პირველი ეტაპის დაწყების და დასრულების თარიღს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

3.1.2.სკოლის შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, მეორე ეტაპზე გადასული მონაწილეები ნაშრომის შესახებ შესაბამის წარდგინებას გააკეთებენ საჯარო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდება ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში. კონფერენციის მეორე ეტაპის დაწყება/დასრულების თარიღს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.
3.1.3.კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო ნაშრომების ავტორები დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით სასწავლო წლის გამოსაშვებ ღონისძიებაზე.

მუხლი 4 მოთხოვნები საკონფერენციო ნაშრომისადმი

4.1. საკონფერენციო ნაშრომის მომზადება მოიცავს ავტორის მიერ შესაბამისი სექციის მიხედვით ნაშრომის შერჩევას, ხელმძღვანელთან კონსულტაციებსა და/ან დამოუკიდებელ მუშაობას, განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას;
4.2. კონფერენციაზე წარდგენილ ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს ერთი ან ორი ავტორი. ორი ავტორის არსებობის შემთხვევაში, ნაშრომში გამოკვეთილი უნდა იყოს თითოეული ავტორის თანამონაწილეობის როლი.
4.3. ნაშრომი შეიძლება მოიცავდეს:
ა. კვლევას;
ბ. შედარებით ანალიზს;
გ. საკუთარ შემოქმედებას- ლექსი, ჩანახატი, მოთხრობა, თარგმანი
დ. მოდელს ან მაკეტს
ე. მიმოხილვას თანამედროვე მეცნიერების დარგში და მაღალტექნოლოგიურ მიღწევებზე;
4.4.ნაშრომის თემა და კვლევა უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის ასაკს;
4.5.წარმოდგენილი ნაშრომი უნდა მოიცავდეს 2დან 4 გვერდამდე ნამუშევარს, A-4 ფორმატი, ილუსტრაციების გარეშე, (ნაშრომის ტექსტი შრიფტი 12, Sylfaen; ტექსტის კიდეები გასწორებული ორივე მხარეს), გარდა თავსართისა და ბოლო გვერდის - გამოყენებული ლიტერატურის მითითებით გვერდისა.(გამოყენებული მინიმუმ 2 წყარო)
4.6. თავსართის ფორმა იხილეთ დანართი № 1.
რეფერატის ფორმა იხილეთ დანართი № 2.
4.7. ნაშრომი უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ სკოლის დირექციაში, კერძოდ ადმინისტრაციულ-საკანცელარიო საქმეთა მენეჯერთან დადგენილ ვადებში, ხოლო მენეჯერი ნაშრომებს გადასცემს საორგანიზაციო კომისიას;
4.8. ნაშრომის მეორე ტურში გადასვლის შემთხვევაში, მონაწილე ამზადებს ნაშრომის საპრეზენტაციო ფორმას PowerPoint-ის დახმარებით (მაქსიმუმ 12 სლაიდი-ილუსტრაციები, ნახაზები, ნახატები და სხვა).
4.9. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენებზე;
4.10. პლაგიატის შემთხვევაში ნაშრომი არ განიხილება.

მუხლი 5. კონფერენციაში ნაშრომთა შერჩევისა და შეფასების პროცედურა

5.1. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველის მიერ გამოგზავნილ ნაშრომს ამოწმებს საორგანიზაციო კომისია.
5.2. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები შეფასდება შემფასებელი კომისიის მიერ, ამ დებულებისა და დანართი №3-ით განსაზღვრული წესების შესაბამისად;
5.3. კონფერენციაზე წარმოდგენილი ავტორთა ნაშრომები, პირველ ეტაპზე შეფასდება არაუმეტეს 50 ქულით.
5.4. მეორე ეტაპზე გადასული ნაშრომების მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 40 ქულით.
5.5.პირველი ადგილისათვის მონაწილის ნაშრომების განსახილველად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს არანაკლებ 87-90 ქულა ორივე ეტაპზე ერთად.
5.6. სექციაში პირველი ორი საუკეთესო ნაშრომების ავტორები დაჯილდოვდებიან დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო სხვა მონაწილეებს გადაეცემათ კონფერენციაში მონაწილეობის სერტიფიკატები. სექციას შესაძლებელია არ ჰყავდეს პირველი და მეორე ადგილის მფლობელი მონაწილეები.
5.7.კონფერენციის შემფასებელი კომისიის წარდგინებისა და სკოლის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელის დამატებით სიგელებისა და ჯილდოების გაცემა.
5.8. სკოლა უფლებამოსილია, მშობლის ნებართვის საფუძველზე ინფორმაცია და ფოტოები წარჩინებული მონაწილეებზე განათავსოს სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ პლატფორმაზე.

მუხლი 6 კონფერენციის სექციები

6.1.1ქართული ლიტერატურა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურა
6.1.2. მათემატიკა და ინფორმატიკა
6.1.3. ისტორია და ეთნოგრაფია
6.1.4. გეოგრაფია და ტურიზმი
6.1.5.ინგლისური ლიტერატურა და ქვეყანათმცოდნეობა
6.1.6. იაპონური ლიტერატურა და კულტურა
6.1.7. ქიმია და ბიოლოგია
6.1.8.ფიზიკა და ასტრონომია
6.1.9. საინჟინრო მოდელირება და რადიოელექტრონიკა
6.1.10. სამოქალაქო განათლება
6. 2. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელის დაშვებულ იქნეს ან / და გაუქმდეს დამატებითი სექციები.